ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

ქ. ონი 31 მარტი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორის მაია გრიგოლიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს სამსახურის დებულების საფუძველძე ერთის მხრივ და ინდ. მეწარმე "ელგუჯა ბიჭაშვილი" შემდგომში "მიმწოდებელი"მისი წარმომადგენელის ელგუჯა ბიჭაშვილის სახით მეორის მხრივ დადეს ეს ხელშეკრულება და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1.ზოგადი პირობები

შემსყიდველმა აწარმოა მოლაპარაკება 45 მ.კუბ. საწვავი შეშის შესყიდვაზე და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება მის მიწოდებაზე.

2.ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება შემდეგ მომსახურებაზე 45 მ.კუბ. საწვავი შეშის დახერხვის და დაჩეხვა-დალაგების (cpv-0341300-4050 ლ) შესაძენად გამარტივებული შესყიდვის წესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისობა საქართველოში არსებულ სტანდარტულ ნორმებთან;

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 4050 (ოთხიათასორმოცდაათი) ლარი; შესასყიდი ობიექტის მიწოდების განხორციელება შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი არაუგვიანეს 10 დღისა.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

"მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს "შემსყიდველის" მიერ დაკვეთილი საქონლის მიწოდება დაუყოვნებლივ სათანადო დოკუმენტების გაფორმების საფუძველზე;

"მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა;

"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიმწოდებლს საქონელის საფასური გადაუხადოს მიწოდებელი საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა ეტაპობრივად.

შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადოს საქონელი, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი (ან მისი ნაწილი) ჩაითვლება მიღებულად ინსპექტირების ჩატარების, სათანადო დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, შესრულების აქტი და მიღება ჩაბარების) გაფორმებისა და შემსყიდველზე საქონლის გადაცემის შემდეგ;

5.ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ლარებში უნაღდო ანგარიშსწორება;

6.სხვა პირობა

ხელშეკრულების პირობებს მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა დასაშვებია შემსყიდველისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების მოცულობის ცვლილებებისას და ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის შესაბამისად;

მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას შემსყიდველი და არადამაკმაყოფილებლად შესრულებულ თავის ვალდებულებებზე არსებულ კანონმდებლობის შესაბამისად გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებით გათვალისწინებული შემთხვევების;

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს და მეორე შემსყიდველს. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ეთანხმებიან რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას 2015 წლის 31 მარტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 მაისამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ სოფელ გლოლის საჯარო სკოლა

ს/კ 237981207

ანგ.№120110739314000

ლიბერთი ბანკი ონის ფილიალი

ბ/კ 220101449

მიმწოდებელი:

ინდ.მეწარმე "ელგუჯა ბიჭაშვილი"

ს/კ 35001097677

ა/ნGE16LB0112187133259000

ლიბერთი ბანკი ონის ფილიალი

ბ/კ 220101449